სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული,
ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....6
სრული შემოსავლის ანგარიშგება....7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....8
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება....9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები....10

Moore Abc, LLC
2 D. Gamrekeli Str,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ (შემდგომში „მაუწყებელი“) ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - *„პირობითი მოსაზრების საფუძველი“* - ნაწილში აღწერილი, საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მაუწყებლის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია ბასს 23 ის მიხედვით. როგორც ეს მე-12 განმარტებით შენიშვნაშია მოცმული მაუწყებელს აქვს მიღებული სესხები რომლის ნაწილსაც იყენებს ახალი შენობის მშენებლობისთვის. აღნიშნულ სესხებზე საპროცენტო ხარჯის 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 4,820,411 ლარს (2022: 6,373,526 ლარს). როგორც ეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში (ბასს) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“ არის მოცემული ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს სესხის პროცენტის ის ოდენობა რომელიც უნდა მიეკუთვნოს განსაკუთრებული აქტივის ღირებულებას. თუმცა, ვინაიდან მაუწყებელი ხელმძღვანელობს „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციით, ფასს სტანდარტის შესაბამისად მას არ განუსაზღვრავს სესხის პროცენტის ის ოდენობა, რომელიც მისაკუთვნებელი იყო მშენებლობის ღირებულებაზე. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, 2022 წლის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე, ასევე შესადრისი ინფორმაციის შესაბამის ელემენტებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ფასს 9 ის მიხედვით. როგორც ეს მე-10 განმარტებით შენიშვნაშია მოცემული მაუწყებელი ფლობს დებიტორულ დავალიანებებს მათ შორის ისეთ დებიტორებს რომლებთაც არ აქვთ გადახდები 1 წელზე მეტი ვადის განმავლობაში. მაუწყებელი აღნიშნულ მოთხოვნებს არ უქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს, როგორც ეს *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 9 "ფინანსური ინტრუმენტები"(ფასს 9) არის* მოცემული. ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მიმდინარე ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიაროს გაუფასურებულად ის ფინანსური აქტივები რომლებიდანაც აღარ ელოდება არანაირ ფულადი ნაკადების შემოდინებას. მას შემდეგ რაც მაუწყებელი გადავიდა ფასს სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებაზე მას არ განუსაზღვრავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსური აქტივებისთვის, ასევე არ უღიარებია გაუფასურება ვადაგადაცილებულ ფინანსურ აქტივეზე. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა, ფულადი ნაკადების

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

ანგარიშგებაში, ასევე 2022 წლის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე ასევე შესადრისი ინფორმაციის შესაბამის ელემენტებში.
აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ მაუწყებლისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადდა ფასს სტანდარტების შესაბამისად. შესადარისი მონაცემები რომლებიც ასევე წარდგენილია ფასს სტანდარტების შესაბამისად არ არის აუდირებული. ამასთანავე მაუწყებელი წინა საანგარიშგებო პერიოდებში აქვეყნებდა აუდირებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც იყო მომზადებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მაუწყებლის წლიურ ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მაუწყებლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავეცნობით მაუწყებლის წლიურ ანგარიშს, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვევალება ამ საკითხის ინფორმირება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის.

ხელმძღვანელობისა და სამეურვეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მაუწყებლის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მაუწყებლის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად მაუწყებლის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მაუწყებლის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეურვეო საბჭო პასუხისმგებლი არის მაუწყებლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ

არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ მაუწყებლის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მაუწყებლის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მაუწყებელი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეურვეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხეილ აბაიაძე/ სერთიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

შპს „მოორ ეიბისი“

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 19 აპრილი 2024

თბილისი, საქართველო

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომაორეობით

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	71,632,153	59,642,007	63,519,959
არამატერიალური აქტივები	7	4,412,987	2,853,862	3,548,397
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	5,761,350	11,522,700	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები და სხვა აქტივები	8	1,343,020	2,110,103	2,835,108
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	35,054,551	35,054,551	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**118,204,061**	**111,183,223**	**69,903,464**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	1,971,083	2,173,396	2,283,620
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	17,221,969	27,384,426	8,669,591
წინასწარ გადახდილი გადასახადები		3,494,604	-	180,639
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	28,535,077	19,576,476	6,802,430
სულ მოკლევადიანი აქტივები		**51,222,733**	**49,134,298**	**17,936,280**
სულ აქტივები		**169,426,794**	**160,317,521**	**87,839,744**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		136,245,571	108,355,797	41,616,895
სულ საკუთარი კაპიტალი		**136,245,571**	**108,355,797**	**41,616,895**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები საშუალებები	12	30,082,120	38,273,453	43,233,985
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	1,030,348	1,224,433
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**30,082,120**	**39,303,801**	**44,458,418**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	3,099,103	1,146,860	1,764,431
გადასახდელი გადასახადები		-	11,511,063	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,099,103**	**12,657,923**	**1,764,431**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**169,426,794**	**160,317,521**	**87,839,744**

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 აპრილს:

თინათინ ბერძენიშვილი,
გენერალური დირექტორი

ნოდარ ჭიჭინაძე,
ფინანსური დირექტორი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი"
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ქართულ ლარში)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 დასრულებული წლისათვის

		2023	2022
სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება		85,561,472	69,853,000
კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	14	3,208,631	4,602,714
შრომის ანაზღაურება		(33,609,204)	(32,788,578)
შესყიდული მომსახურება		(956,250)	(955,754)
სამაუწყებლო ხარჯი		(15,044,252)	(15,644,256)
ოფისის ხარჯი		(403,096)	(487,679)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი		(1,532,967)	(1,452,410)
ტრანსპორტის ხარჯი		(345,810)	(479,405)
დაცვის ხარჯი		(298,729)	(238,983)
იჯარის ხარჯი		(847)	(12,264)
საგადასახადო ხარჯი		(3,916,634)	(5,338,357)
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	(6,042,260)	(6,321,534)
ძირითადი საშუალებების და სხვა მატერიალური მარაგების ჩამოწერა		(60,601)	(3,262,333)
სხვა ხარჯი	16	(1,644,712)	(1,804,693)
სხვა შემოსავალი	15	71,620	65,424,306
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)		10,901	(63,331)
ფინანსური შემოსავალი	11	7,712,923	2,080,985
ფინანსური ხარჯი	12	(4,820,411)	(6,372,526)
მიმდინარე წლის მოგება		**27,889,774**	**66,738,902**
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		**27,889,774**	**66,738,902**
სულ წლის სრული შემოსავალი		**27,889,774**	**66,738,902**

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 აპრილს:

თინათინ ბერძენიშვილი,
გენერალური დირექტორი

ნოდარ ჭიჭინაძე,
ფინანსური დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022 (ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე)	-	41,616,895	41,616,895
კორექტირება	-	-	-
1 იანვარი 2022		41,616,895	41,616,895
სულ წლის სრული შემოსავალი	-	66,738,902	66,738,902
31 დეკემბერი 2022	-	108,355,797	108,355,797
სულ წლის სრული შემოსავალი	-	27,889,774	27,889,774
31 დეკემბერი 2023	-	136,245,571	136,245,571

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 აპრილს:

თინათინ ბერძენიშვილი,
გენერალური დირექტორი

ნოდარ ჭიჭინაძე,
ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 დასრულებული წლისათვის

		2023	2022
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		27,889,774	66,738,902
კორექტირებები			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	6,042,260	6,321,534
მარაგების გაუფასურება		-	72,294
საპროცენტო შემოსავალი	11	(7,712,923)	-2,080,985
საპროცენტო ხარჯი	12	4,820,411	6,372,526
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	308,986	3,417,894
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	15	-	-65,199,282
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შემცირება/(ზრდა)	9	202,313	37,930
წინასწარ გადახდილი თანხების შემცირება/(ზრდა)		(14,238,586)	12,416,708
დებიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)	10	15,923,807	(3,351,235)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)	13	921,901	(811,657)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**34,157,943**	**23,934,629**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(16,872,846)	(4,100,920)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(3,027,675)	(1,066,021)
მიღებული პროცენტი	11	7,712,923	2,080,985
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	38,312,982
საინვესტიციო საქმიანობისთვის/დან გამოყენებული/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(12,187,598)**	**35,227,026**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან			
საბანკო სესხების დაფარვა	12	(8,191,333)	(4,960,532)
გადახდილი პროცენტი	12	(4,820,411)	(6,372,526)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		**(13,011,744)**	**(11,333,058)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)		**8,958,601**	**47,828,597**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	54,631,027	6,802,430
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**11**	**63,589,628**	**54,631,027**

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 აპრილს:

თინათინ ბერძენიშვილი,
გენერალური დირექტორი

წოდარ ჭიჭინაძე,
ფინანსური დირექტორი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის“ საქმიანობას საფუძველი ჩაუყარა მაუწყებლობის შესახებ კანონმა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო და ძალაში 2005 წლის 18 იანვარს შევიდა. მაუწყებლების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის ორგანიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, ასევე ინფორმაციის მოპოვება დამუშავება და საზოგადოებისთვის მიწოდება.

მაუწყებელი არის საქართველოს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მაუწყებლის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა სამეურვეო საბჭო რომელიც შედგება 11 მეურვისგან, რომელსაც საქართველოს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი “-ს იურიდიული მისამართია კოსტავას №68, თბილისი საქართველო.

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 19 აპრილს.

მაუწყებელი ყოველი საანგარიშგები პერიოდის დასაწყისში ამტკიცებს ბიუჯეტს რომლის შესახბ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	2023 წლის ბიუჯეტი	2023 წლის ფაქტიური მონაცემები	სხვაობა
სამეურვეო საბჭო	1,283,986	902,016	381,969
გენ. დირექტ აპარატი და დაქვემდ სამს	3,510,806	3,223,206	287,601
ახალი და მიმდინარე ამბები	13,500,751	13,225,127	275,625
მედია	27,601,662	23,052,940	4,548,723
ტექტნიკა და ტექნოლოგიები	16,473,111	13,306,908	3,166,203
ფინანსები და ადმინისტრაცია	74,190,561	20,897,890	53,292,671
სხვა გადასახდელები	28,338,375	27,727,871	610,505
სულ	**164,899,252**	**102,335,958**	**62,563,297**

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგრიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მაუწყებლის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშოისო სტნდარტების გამოყენება. ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს, მაუწყებელმა საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის მაუწყებლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი. 5-ე განმარტებით შენიშვნაში ახსნილია 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი კორექტირებები. წინარე საანგარიშგებო პერიოდებში მაუწყებელი ფინანსური ანგარიშგებას ამზადებდა საქართველოში საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე დაყრდნობით.

ახალი ან შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები

მაუწყებელმა გაითვალისწინა ყველა ახალი და შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები ბასსს მიერ გამოშვებული რომელიც იყო სავალდებულო მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში და რმელსაც აქვს გავლენა მაუწყებლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი ან შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები ადრეული გამოყენება

მაუწყებლის მიერ არ მომხდარა ადრეულად იმ სტანდარტების და ინტერპრეტაციების დანერგვა და გავლენის შეფასება, რომელიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაშესული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდში.

რეალური ღირებულების დადგენა

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

მაუწყებელი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. მაუწყებელმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი: აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით; აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გმოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორ გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ: მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში; ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;ან საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

მაუწყებელი მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ბუნებითს მიხედვით კლასიფიკაციას. მაუწყებლის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს ოპერაციების შინაარსს. მაუწყებლის საანგარიშგებო პერიოდი დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს და დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

ა) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

მაუწყებლის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. მაუწყებლის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: თ: USD 1 = GEL 2.6866, EUR 1 = GEL 2.9753, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი GBP 1= GEL 3.4228 და შვეიცარიული ფრანკი CHF 1= 3.2085.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი USD 1 = GEL 2.7020, ევრო EUR 1 = GEL 2.8844, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი GBP 1= GEL 3.2581 და შვეიცარიული ფრანკი CHF 1= 2.9322 .

2021 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი USD 1 = GEL 3.0976, EUR 1 = GEL 3.5040, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი GBP 1= GEL 4.1737 და შვეიცარიული ფრანკი CHF 1= 3.3772.

(ბ) ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება მაუწყებლის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მაუწყებლის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გადმოცემულია უსასყიდლოდ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისგან ან საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან, შეფასებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ და აღირიცხება სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელის ფინანსურ ანგარიშგებაში. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება შეფასებული თანხით და შემდეგ აღირიცხება, რომელიც წარმოადგენს მის თვითღირებულებას, შემდგომი აღრიცხვა ხდებათვითღრებულებას დაკლებული წლიური ცვეთის ხარჯით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. წლის განმავლობაში მიღებულ აქტივს, წლის ბოლოს ერიცხება მთლიანი წლის ცვეთა.

აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	ცვეთის განაკვეთი / სასიცოცხლო ვადა
მანქანა-დანადგარები	4-29 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-9 წელი

სხვა ძირითადი აქტივები	7-10 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენთიფიცირებადი არაფულადი აქტივი.

მაუწყებლის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული მიმდინარე წლის ამორტიზაციის ხარჯით. .

არამატერიალური აქტივები მოიცავს სატელევიზიო გადაცემების ლიცენზიებს, კომპიუტერულ პროგრამებს, სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო პროგრამებს, გამოყენების უფლებებს და სხვა არამატერიალურ აქტივებს რომლებზეც სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია ხელშეკრულებები

ლიცენზიებზე და სხვა ვადიან არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია ერიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდზე გაანგარიშებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგები თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც მაუწყებელმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში. მაუწყებელი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით: ამორტიზირებული ღირებულება; სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში; სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

მაუწყებელი ძირითადად ფლობს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრიმენტებს მათ შორის: სავაჭრო დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს და მიღებულ სესხებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC”) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *(“ECL”)*. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტის ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავლი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღებია მომხმარებლისგან მომსახურებისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი

კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

დებიტორული დავალიანება აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დებიტორული დავალიანება, გაცემული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არის წარდგენილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გათვალისწინებით.

ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტიის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინასნური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

მაუწყებელი აქტივად აღიარებს ფაქტობრივად გადახდილ და ანგარიშფაქტურით დადასტურელ დამატებითი ღირებულების გადასახადს, ამ აქტივების სამომავლოდ ჩათვლის შესაძლებლობის შეფასების გარეშე.

გადახდილი, მაგრამ (პროპორციის გამო) ჩაუთვლელი დღგ, მათ შორის ძირითადი საშუალებების შეძენაზე, მშენებლობაზე და მარაგების შესყიდვაზე, წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში განცალკავებით - საგადასახადო ხარჯი.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მაუწყებელის გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიღებული სესხები

მიღებულ სესხები თავდაპირველად აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპორცენტო განაკვეთს გამოყენებით. მაუწყებელი არ აკაპიტალიზირებს სესხის პროცენტს რომელის მიზნობრიობაც არის განსაკუთრებული აქტივის მშენებლობა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველი აღიარდება და შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლების აღიარება

მაუწყებელი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც მაუწყებელი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. მაუწყებელი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა

ხელშეკრულების მიმართ:

• მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

• სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

• გარიგების ფასის განსაზღვრა;

• გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;

• შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

მაუწყებელი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

მიღებული დაფინანსება

მიღებული დაფინანსება აღიარდება შემოსავლად როდესაც მაუწყებელი მიიღებს მისთვის გამოყოფილ დაფინანსებას და მიღებული დაფინანსება უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, შენატანი საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ მაუწყებლის დაქირავებული მომუშავეები. მაუწყებელის არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მაუწყებლის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

5. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მაუწებლის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი, რომელიც მან ფასს სტანდარტების სრული დაცვით მოამზადა. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის მაუწყებლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი. მაუწყებელი არ განუხორციელებია მნიშვნელოვანი კორექტირებები ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის გარდა ქვემმოთ მოცემული რეკლასიფიკაციისა: მაუწყებელი აღიარებდა არამორტიზირებად არამატერიალურ აქტივებს (გადაღებულ ფილმებს)სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში. ფასს სტანდარტების შესაბამისად აღნიშნულის აღიარება უნდა მოხდეს არამატერიალურ აქტივებში.

1 იანვარი 2022	ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე	რეკლასიფიკაცია	ფასს სტანდარტების მიხედვით
აქტივები			
არამატერიალური აქტივები	3,231,669	316,728	3,548,397
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3,151,836	(316,728)	2,835,108

6. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
2022 წლის 1 იანვარი	**24,059,551**	**2,252,368**	**1,639,984**	**52,247,019**	**2,871,787**	**13,313,742**	**96,384,451**
შეძენა	-	838	113,418	878,076	47,042	3,061,546	4,100,920
გასვლა	(1,129,106)	(2,253,206)	(356,705)	(485,148)	(1,237)	-	(4,225,402)
2022 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**-**	**1,396,697**	**52,639,947**	**2,917,592**	**16,375,288**	**96,259,969**
შეძენა	-	-	270,000	888,294	231,457	15,483,095	16,872,846
გასვლა	-	-	(66,348)	(300,654)	-	-	(367,002)
2023 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**-**	**1,600,349**	**53,227,587**	**3,149,049**	**31,858,383**	**112,765,813**
ცვეთა							
2022 წლის 1 იანვარი	**-**	**(303,777)**	**(563,205)**	**(30,507,611)**	**(1,489,899)**	**-**	**(32,864,492)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	-	(73,080)	(4,141,224)	(245,768)	-	(4,460,072)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	303,777	321,446	183,118	417	-	808,758
2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(314,839)**	**(34,567,873)**	**(1,735,250)**	**-**	**(36,617,962)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	-	(196,560)	(4,117,688)	(259,464)	-	(4,573,712)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	14,203	43,811	-	-	58,014
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(497,196)**	**(38,641,750)**	**(1,994,714)**	**-**	**(41,133,660)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 1 იანვარი	**24,059,551**	**1,948,591**	**1,076,779**	**21,739,408**	**1,381,888**	**13,313,742**	**63,519,959**
2022 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**-**	**1,081,858**	**18,072,074**	**1,182,342**	**16,375,288**	**59,642,007**
2023 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**-**	**1,103,153**	**14,585,837**	**1,154,335**	**31,858,383**	**71,632,153**

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სამაუწყებლო შენობის მშენებლობას რომლის დასრულებაც 2024 წელს არის დაგეგმილი.

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პროგრამები	არაამორტიზებადი არამატერიალური აქტივები	სულ
1 იანვარი 2022	**3,231,669**	**316,726**	**3,548,397**
შეძენა	1,022,141	43,880	1,066,021
გასვლა	(2,935,204)	-	-
გასული აქტივების ცვეთა	2,933,954	-	-
ამორტიზაცია	(1,759,306)	-	-
31 დეკემბერი 2022	**2,493,254**	**360,608**	**2,853,862**
შეძენა	2,996,769	31,906	3,027,675
ამორტიზაცია	(1,468,548)	-	(1,468,548)
31 დეკემბერი 2023	**4,021,475**	**392,514**	**4,412,989**

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ძირითად საშუალებების შეძენისას გადახდილი დღგ	1,316,126	2,083,079	2,804,132
არარეზიდენტ კომპანიაში საგარანტიო თანხა	26,894	27,020	30,976
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	**1,343,020**	**2,110,099**	**2,835,108**

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
მცირეფასიანი აქტივები	840,003	885,196	924,869
სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები	356,460	436,456	505,265
სათადარიგო ნაწილები	688,116	727,313	743,575
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	86,504	124,431	109,911
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	**1,971,083**	**2,173,396**	**2,283,620**

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,447,719	2,995,477	2,355,590
მოთხოვნები იჯარიდან	826,598	864,703	824,515
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7,002,694	6,977,761	4,562,043
სხვა მოთხოვნები	1,183,608	1,182,892	927,443
შენობის რეალიზაციიდან მისაღები თანხები	11,522,700	26,886,300	-
სულ მოთხოვნები	**22,983,319**	**38,907,133**	**8,669,591**

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავს რეტრანსლიაციის შეძენილ უფლებებზე გადახდილ თანხებს, ასევე სამშენებლო კომპანიებისთვის გადახდილ ავანსებს.

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფულადი სახსრები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე	16,671	41,309	66,262
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	28,518,406	19,535,167	3,818,169
შეზღუდული ფულადი სახსრები	35,054,551	35,054,551	2,917,999
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**63,589,628**	**54,631,027**	**6,802,430**

შეზღუდული ფულადი სახსრები მოიცავს, თიბისი ბანკის მიერ, მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემული სესხის ფარგლებში დაკავებულ ფულად სახსრებს, რომელსაც ეტაპობრივად, მშენებლობის დასრულების მიხედვით უბრუნებს სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს“. ბანკში განტავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო სარგებელი12.5% საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 7,712,923 ლარი (2022: 2,080,985 ლარი)

12. ნასესხები საშუალებები

სესხის გამცემი	ვაუტა	%	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	მიღებული თანხა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	13/03/2019	3/1/2025	3,397,290	1,443,849	2,378,102	2,972,639
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	30/12/2019	30/142025	50,000	32,500	42,500	47,500
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	11/3/2020	13/12/2025	642,330	417,514	545,980	610,213
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	3/6/2020	13/12/2025	2,100,000	1,365,000	1,785,000	1,995,000
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	15/09/2020	31/12/2025	876,000	713,500	818,500	864,500
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	18/11/2020	13/12/2025	18,000,000	11,000,000	14,500,000	17,000,000
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	25/12/2020	21/12/2025	2,373,636	1,587,758	2,064,048	2,361,729
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	21/06/2021	18/06/2026	3,455,321	2,447,519	3,023,406	3,359,340
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	30/09/2021	30/09/2026	4,300,000	3,254,861	3,911,806	4,240,278
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	30/09/2021	30/09/2026	1,629,124	1,233,156	1,482,050	1,606,497
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	15/11/2021	15/11/2026	2,838,481	2,286,554	2,680,788	2,838,481
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	9/12/2021	8/12/2026	1,797,463	1,447,956	1,697,604	1,797,453
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	12.50%	30/12/2021	29/12/2026	3,540,355	2,851,953	3,343,669	3,540,355
სულ						**30,082,120**	**38,273,453**	**43,233,985**

სს თიბისი ბანკთან აღებულ სესხებზე მაუწყებელს აქვს განსაზღვრული გარკვეული მნიშვნელოვანი დამატებითი პირობები. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მაუწყებელი შესაბამისობაშია ყველა დამატებით პირობებთან

გარდა ერთისა. აღნიშნული დამატებითი პირობა მოითხოვს, რომ მაუწყებლის საოპერაციო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 45 მილიონ ლარს. აღნიშნული დამატებითი პირობის შეუსაბამობის გამო ბანკს აქვს უფლება გაზარდოს საპროცენტო სარგებელი ან მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ ვადაზე ადრე გადახდა. თუმცა მაუწყებელს აქვს ბანკთან შეთანხმება, რომ აღნიშნული დარღვევა რომელიც გამოწვეულია 2022 და 2023 წლების ფინანსური შედეგებიდან გამომდიანრე არ გამოიწვია და გამოიწვევს საპროცენტო სარგებლის და სესხის დაუყონებლივ დაფარვის მოთხოვნას.

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებით 35,054,551 ლარის ოდენობით (2022:35,054,551 ლარი).

საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 4,820,411ლარი (2022: 6,372,526 ლარი).

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2023	31დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
დაკავებული თანხები	1,936,387	-	-
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	948,771	928,209	1,502,838
მიღებული ავანსები	11,895	20,258	7,782
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	83,311	83,311	83,311
საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხი	98,567	94,848	146,036
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20,172	20,234	24,464
სულ	**3,099,103**	**1,146,860**	**1,764,431**

მაუწყებელი უკავებს დაქირავებულ სამშენებლო კომპანიებს გარკვეულ საგარანტიო თანხებს რომლის გადახდაც უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულების ეტაპზე.

14. კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	2023	2022
სარეკლამო შემოსავალი	434,897	647,352
სასპონსორო შემოსავალი	1,509,778	1,989,776
ბარტერით მიღებული შემოსავალი	271,517	480,901
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	422,474	905,583
საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება	286,890	332,106
სპეციალური პროექტები	49,479	84,913
ამერიკის საელჩოსგან მიღებული გრანტი	-	72,634
სხვა	233,596	89,449
სულ კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	**3,208,631**	**4,602,714**

15. სხვა შემოსავალი

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენს: სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელის მიერ 2022 წლის დეკემბერში, აუქციონის წესით, 65,199,282 ლარად გასხვისებული კოსტავას #68-ში მდებარე მიწა და მასე განთავსებული შენობა.

16. სხვა ხარჯი

	2023	2022
ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯი	223,888	256,179
ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯი	1,002,476	1,209,965
სამედიცინო ხარჯი	2,580	2,000
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	39,314	25,107
სააღსრულებლოს მიერ დაკისრებული ხარჯი	95,125	29,210
სხვა	281,075	209,938
სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება	254	72,294
სულ სხვა ხარჯები	**1,644,712**	**1,804,693**

17. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. მაუწყებელი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აქვს სასამართლო დავები, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ყოფილი თანამშრომლების მიერ სამსახურში აღდგენის და კომპენსაციების მოთხოვნით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მაუწყებელი არ აღიარებს პირობით ვალდებულებებს რადგან საქმეები არის წარმოებაში. მაუწყებელს არ გააჩნია სხვა მნიშვნელოვანი პრობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

18. დაკავშირებული მხარეები

	2023	2022
მაუწყებლის ხელმძრვანელობის წლიური ანაზღაურება	588,800	588,800
მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წლიური ანაზღაურება	720,551	686,879
სულ	**1,309,351**	**1,275,679**

19. ფინანსური რისკების მართვა და სამართლიანი ღირებულება

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, მაუწყებელი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ დებიტორი ვერ შეძლებს გადაიხადოს სრული დავალიანება, და მისი დაფარვა დროულად, რაც გამოიწვევს ზარალს მაუწყებლისთვის.

ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ მაუწყებელს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები რეალური ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, მაუწყებელი ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- *საპროცენტო რისკი*
- *სავალუტო რისკი*

მაუწყებლის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს მაუწყებლის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	63,589,628	54,631,027	6,802,430
დებიტორული დავალიანება	15,980,625	31,929,368	4,107,548
სულ ფინანსური აქტივები	**79,570,253**	**86,560,395**	**10,909,978**
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	30,082,120	38,273,453	43,233,985
კრედიტორული დავალიანება	1,064,149	1,031,754	1,610,613
სულ ფინანსური ვალდებულებები	**31,146,269**	**39,305,207**	**44,844,598**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია რეალური ღირებულება, არ არის არსებითი განსხვავება ფინანსური აქტივების საბალანსო და რეალურ ღირებულებას შორის:

	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული რეალური ღირებულებით			
ფული და ფულის ექვივალენტები	63,589,628	-	-
დებიტორული დავალიანება	-	-	15,980,625
სულ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**63,589,628**	**-**	**15,980,625**
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	-	-	30,082,120
კრედიტორული დავალიანება	-	-	1,064,149
სულ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**31,146,269**

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული რეალური ღირებულებით			
ფული და ფულის ექვივალენტები	54,631,027	-	-
დებიტორული დავალიანება	-	-	31,929,368
სულ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**54,631,027**	**-**	**31,929,368**
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	-	-	38,273,453
კრედიტორული დავალიანება	-	-	1,031,754
სულ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**39,305,207**

	2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული რეალური ღირებულებით			
ფული და ფულის ექვივალენტები	6,802,430	-	-
დებიტორული დავალიანება	-	-	4,107,548
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**6,802,430**	**-**	**4,107,548**
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	-	-	43,233,985
კრედიტორული დავალიანება	-	-	1,610,613
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**-**	**44,844,598**

საკრედიტო რისკი

მაუწყებლის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	63,589,628	54,631,027	6,802,430
დებიტორული დავალიანება	15,980,625	31,929,368	4,107,548
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი	**79,570,253**	**86,560,395**	**10,909,978**

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან დეპოზიტებს სამ თვემდე ვადიანობით, გარდა სესხის უზრუნველყოფად გამოყენებული ფულადი სახსრებისა(იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 11). მაუწყებელი არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. გაუფასურებულ დებიტორულ დავალიანებებზე მაუწყებელი არ ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგის რეზერვებს.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

მაუწყებელი ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით. ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2023	**1 წლამდე**	**1 დან 5 წლამდე**	**5 წელი და მეტი**	**სულ**
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,535,077	35,054,551	-	63,589,628
დებიტორული დავალიანება	10,219,275	5,761,350	-	15,980,625
სულ ფინანსური აქტივები	**38,754,352**	**40,815,901**	**-**	**79,570,253**
ნასესხები სახსრები	-	30,082,120	-	30,082,120
კრედიტორული დავალიანება	1,064,149	-	-	1,064,149
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,064,149**	**30,082,120**	**-**	**31,146,269**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**37,690,203**	**10,733,781**	**-**	**48,423,984**

31 დეკემბერი 2022	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,576,476	35,054,551	-	54,631,027
დებიტორული დავალიანება	20,406,668	11,522,700	-	31,929,368
სულ ფინანსური აქტივები	**39,983,144**	**46,577,251**	**-**	**86,560,395**
ნასესხები სახსრები	-	38,273,453	-	38,273,453
კრედიტორული დავალიანება	1,031,754	-	-	1,031,754
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,031,754**	**38,273,453**	**-**	**39,305,207**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**38,951,390**	**8,303,798**	**-**	**47,255,188**

საპროცენტო რისკი

მაუწყებელს საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა მაუწყებლის ხელმძღვანელობის მიერ შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. მაუწყებელს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. მაუწყებელი არ ფლობს მნიშვნელოვან ნაშთებს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად სავალუტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა მაუწყებლის ხელმძღვანელობის მიერ შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2024 წლის 1 თებერვალს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა გრიგოლ მურღულია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონდა სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.